მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს საქართველო მიუერთდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ გაეროს კონვენციას, ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების უმრავლესობა არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების და გოგონების, როგორც დამოუკიდებელი სამიზნე ჯგუფის განსაკუთრებულ საჭიროებებს[1]

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები სენსიტიური არ არის გენდერული ნიშნით: არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სპეციალურ საჭიროებებს და არ ეფუძნება პრობლემების ანალიზს. სამედიცინო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა ფაქტობრივად გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას. პრობლემა არის როგორც უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებების შენობების მისაწვდომობის კუთხით, ასევე სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებაც. აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს პერსონალის კვალიფიკაცია. სომატური ჯანმრთელობის ექიმები არ ფლობენ საკმარის უნარებს მოემსახურონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს/გოგონებს. ქვეყანაში სერთოდ უგულვებელყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების/გოგონების უფლება რეპროდუქციული ჯანმრთელობაზე, არ ხდება მათი ჩართვა მათსავე ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. [2]

შშმ ქალები და გოგონები დისკრიმინაციას განიცდიან არაერთ სფეროში, მათ შორისაა, განათლება, დასაქმება, შემოსავალი, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა, ჯანდაცვის სერვისებზე (მათ შორის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე) ხელმისაწვდომობა, ქორწინება, მედიაში გაშუქება, და სხვა. შშმ ქალებს და გოგონებს უფრო ნაკლები შანსი აქვთ დასაქმდნენ, ვიდრე შშმ კაცებს. ასაკოვან შშმ ქალებს კი კიდევ უფრო ნაკლები დასაქმების შესაძლებლობები აქვთ. შშმ ქალები ეკონომიკურად უფრო არასტაბილურ სიტუაციაში არიან, ვიდრე შშმ კაცები და შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე სხვა ქალები, შესაბამისად შშმ ქალები და გოგონები უფრო ღარიბები არიან და უფრო მეტად არიან დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებაზე და სხვადასხვა სერვისებზე. მათ უფრო ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საკუთრებაზე, რესურსებზე და კავშირებზე.

---

[1] „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“ II ნაწილი, 2018 წელი

[2] “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში”, 2018 წელი.

ხელმისაწვდომი და ინკლუზიური ჯანდაცვის სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“, თბილისი, საქართველო
23 აპრილი, 2019 წ.
დღის წესრიგი

10:00 - 10:30 **რეგისტრაცია**

10:30 – 10:50 **შეხვედრის გახსნა**

თამარ ჩუგოშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ლორა თორნტონი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

მარგარეტ ბელოფი, გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მეორე პოლიტიკური მდივანი

რატი იონათამიშვილი, პარლამენტის წევრი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

10:50 – 12:50 **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები ჯანდაცვის სერვისების ხემისაწვდომობის კუთხით**

მოდერატორი: **გიორგი ტულუში**, პარლამენტის წევრი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი

კობა ნადირაძე, მოძრაობა “ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის” - *კვლევის შედეგების მიმოხილვა “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურებაზე მისაწვდომობა საქართველოში”*

ლალი წულეისკირი, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოლოგიის პრევენციის ცენტრის სოციალური რეაბილიტაციის განყოფილების უფროსი - *ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალების ხემისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე*

თამარ მაჭარაშვილი, ქალი და რეალობა - *შშმ ქალების ხელმისაწვდომობა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე*

თამილა ბარკალაია, მინისტრის მოადგილე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (TBC)

დისკუსია / რეკომენდაციების შემუშავება და შემდგომი ნაბიჯები

12:50 - 13:00 შესვენება

13:00 – 15:00 **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და გენდერული თანასწორობა: საქართველოში არსებული გამოწვევები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა**

მოდერატორი - **თამარ ჩუგოშვილი**, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენელი (TBC)

ეკატერინე სხილაძე, სახალხო დამცველის მოადგილე - *სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში გაეროს შშმ პირთა დაცვის კომიტეტის წინაშე - რეკომენდაციები*

ანა ხიზანიშვილი, *გაეროს შშმ პირების კონვენცია და გენდერული თანასწორობა*

ანა არგანაშვილი, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთის - *საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა: შშმ ქალები და გოგონები და გენდერული თანასწორობა*

დისკუსია და რეკომენდაციების შემუშავება